**დანართი**

# სტრატეგიული განვითარების გეგმა

## 2017-2023 წწ.

| მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | გასატარებელი ღონისძიებები | პასუხისმგებელი პირი | სავარაუდო პერიოდი | ღონისძიების აღწერი |
| 1 | ზრუნვა სასწავლო შენობის კაპიტალურ შეკეთებაზე | დამფუძნებელი დირექტორი ადმინისტრაცია | 2017-2020 | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და სასწავლო ფართის კაპიტალური შეკეთებით გიმნაზიას მიეცემა შესაძლებლობა საუკეთესო გარემოში ჩატარდეს სასწავლო პროცესი |
| 2 | მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლება | დირექტორი, ადმინისტრაცია, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი | 2017- 2023 | ახალი ინვენტარი/ტექნიკა, გამართული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და სტანდარტების შესატყვისი საშუალებები და ინსტრუმენტები; ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარები გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს. |
| 3 | გიმნაზიის ვებ-გვერდის შექმნა-განახლება | დირექტორი | 2017- 2023 | გიმნაზიის ვებ-გვერდის შექმნა საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთეფექტური საშუალება იქნება. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ავტორიზაციისათვის მზადება | დამფუძნებელი, რექტორი, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პედაგოგები ადმინისტრაცია, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველ. კოორდიატორი | 2017 წლის 26 აპრილი | დამფუძნებელი, რექტორი, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პედაგოგები ადმინისტრაცია, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველ. კოორდიატორი - მათი ერთობლივი ძალისხმევიტ მუშაობა ხელს შეუწყობს გიმნაზიას გაიაროს რეავტორიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია საფრთხეები, რაც გამოწვევს მოსწავლეთა მობილობას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ბიბლიოეთეკის ფონდის განახლება | დირექტორი, დამფუძნებელი ბიბლიოთეკარი, | სტრატეგიული გეგმის ვადებში | საგანამანთლებლო პროგრამების სრაულფასოვანი განხორცილება, მოსწავლეებისათვის განახლებული ლიტერატურის შეთავაზება ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებებას. |

| ადამიანური რესურსი | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- |
| 6 | გიმნაზიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა | დირექტორი | 2017-2020 | ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობის მიზნით გიმნაზია პერსონალს დაუფინანსებს შესაბამის ტრენინგ-მოდულების კურსებს. შედეგად გიმნაზია უზრუნევლყოფს სწავლების არსებული ხარსიხსი შენარჩუნებას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის მაღალი ხარისხის განათლების მიცემის უზრუნველყოფას. |
| 7 | კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება დადანერგვა | დირექტორი, დირექტორის მოადგილე | 2017 -2022 | ხარისხის მართვის სამსახურის შექმნა |
| 8 | ტრენინგებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა | დირექტორი | 2017-2022 | გიმნაზიაში დასაქმებულ პერსონალს გამოუმუშავდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ეფექტური მართვისა და მომსახურების უნარები, ხოლო პედაგოგიური პერსონალი პრაქტიკული მიმართულებით გადამზადდება. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | გიმნაზიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების საქმისწარმოების წესის დაუფლება-მოვალეობების სრულყოფა | დირექტორი | 2017-2023 | სამუშაო აღწერილობის დახვეწით პერსონალმა სრულყოფილად შეისწავლის თავის უფლება-მოვალეობებს. |
| საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა | | | | |
| 10 | არსებული პროგრამების მუდმივი განახლება და სრულყოფა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა | დამფუძნებელი, დირექტორი, ადმინისტრაცია | 2017-2023 | არსებულ პროგრამებში სიახლეების მოძიება ხელს შეუწყობს განათლების ხარსიხის განვითარებას, სტადარტის გააზრება-დაუფლებას, მოსწავლეებს დაეხმარება აღიზარდონ კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად; მოსწავლეებში მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების მიცემას; სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელშემწყობი ფაქტორი იქნება ქვეყნის ინტერესების დამცველი მოქალაქის აღზრდის საქმეში, ხოლო ბაზრის კვლევის შედეგების ასახვა დაეხმარება მათ დასაქმებაში. |
| 11 | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა | დირექტორი, დირექტორის მოადგილე | 2017-2023 | სასკოლო სასწავლო გეგმის და პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ხდება მოსწავლეთა გამოკითხვის საფუძველზე. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა | დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პედაგოგები | 2017-2023 | სწავლების ხარსისხის გაუმჯბესებისათვის მნიშნველოვანია მოსწავლეთა ცოდნის, უნარ-ჩვევების, ქცევის შეფასება იყოს გამჭვირვალე. შეფასების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შეფასების ისეთი ინტრუმენტებისა და კრიტერიუმების დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა შემდგომი განვითარება დამოტივაციის ზრდა. |
| 13 | შეფასების კომპონენეტების დახვეწა და შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება | დირექტორი, დირექტორის მოადგილე | 2017-2023 | მოსწავლის შეფასება მნიშვნელოვანია სწავლაში მისი მოტივაციის ამაღლებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მას ეროვნულ გამოცდებზე წარმატების მიღწევაში, მისი მზაობის განსაზღვრაში, რამდენად არის შრომის ბაზარზე გასასვლელად მზად. სწორედ ამიტომ იძენს შეფასების მექანიზმების, ინსტრუმნეტებისა და კრიტერიუმების სწორი ფორმულირება განსაკუთრებულ დატვირთვას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14 | სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა | დირექტორი, დირექტორის მოადგილე | 2017-2023 | გიმნაზიისთვის პრიორიტეტულია მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა, მენეჯმენტის გაუმჯობესება და ერთიანი ორგანიზაციული კულტურის შემუშავება. დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი ინტელექტუალური გარემოს შექმნას, ეფექტური მომსახურების გაწევას, სწავლება-სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევას, რომლის პროცედურებიც დაფუძნებული იქნება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ერთიან პრინციპზე. |